აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 24

ქ ბათუმი 16 ივნისი 2004 წ

სხდომას
თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ფაღავა

სხდომას ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: გიზო მჭედლიძე, გუგული დუაძე, გულნარა ბზიკაძე, სერგო დუმბაძე, ლევან ჩავლეიშვილი, სიმონ ჩხაიძე, მამუკა წულუკიძე, წულუკიძე, ქეთევან ჯიქია

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კომისიას განსახილველად წარმოუდგინა დღის წესრიგის პროექტი

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №09[1] დადგენილებაში "ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ

2. სხვადასხვა

მოისმინეს: უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის №09[1] დადგენილებაში "ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ" ცვლილებების შეტანის შესახებ

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრმა გიზო მჭედლიძემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ 2004 წლის 1 ივნისის სხდომაზე მივიღეთ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების შესახებ №9[1] დადგენილება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესი საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ განხორციელდება 3 ივნისიდან 13 ივნისამდე, ორი უბნის მონაცემების გადაცემა ვერ ხერხდება ქ. თბილისში, ამიტომ ნაცვლად 17 ივნისისა ამობეჭდილი სიები უბნებში გაიკვრება 18 ივნისს.

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ფაღავამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე -9
წინააღმდეგი 0
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 9 წევრი)

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ი. ფაღავა

კომისიის მდივანი გ. მჭედლიძე